

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება ადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - სტუ) ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) მიზნებსა და ამოცანებს, აწესრიგებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი დანიშვნისა და არჩევის წესსა და უფლება-მოვალეობებს, მართვის პრინციპებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. ფაკულტეტის სტატუსი და უფლებამოსილება

1. ფაკულტეტი არის სტუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს სამართალის, სოციალური მეცნიერებებისა და ბიზნესის მართვის მიმართულებით.

2. ფაკულტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით, სტუ-ს წესდებითა და ამ დებულებით.

3. ფაკულტეტი დამოუკიდებელია მოქმედი კანონმდებლობის, სტუ-ს წესდებისა და ამ დებულების ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღებასა და მოქმედებათა განხორციელებაში.

3. ფაკულტეტის აქვს ბეჭედი ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრეთვე შესაბამისი ბლანკი და შტამპი.

თავი II

ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 3. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენტურობების მქონე სპეციალისტების მომზადება.

2. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა. სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

ბ. პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების - ბაკალავრების და პროფესიული განათლების მქონე პირების – სპეციალისტების მომზადება;

გ. უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების მომზადება, ფაკულტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის პროფესიული განვითარება.

3. ფაკულტეტი ვალდებულია შეუქმნას სტუდენტს საქართველოს სახელმწიფოს განვითარების დონიდან გამომდინარე საუკეთესო პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგებში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე.

მუხლი 4. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა. მეცნიერების შესაბამის მიმართულებებში ანდა დარგებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური პროგრამების, ასევე პროფესიული განათლებისა და კანონმდებლობით დაშვებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ბ. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

გ. საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა.

თავი III

ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

მუხლი 5. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სასწავლო, სამეცნიერო -კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

2. ფაკულტეტის სტრუქტურასა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ამტკიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო.

3. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, სათათბირო, დეკანი, მენეჯერი.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭო და მისი უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის: დეკანი (თავმჯდომარე), მისი მოადგილე, მენეჯერი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

3. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება სტუ-ს წესდებით, ამ დებულებით და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

4. ფაკულტეტის საბჭო:

ა. განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ. თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს;

ე. ამტკიცებს ფაკულტეტის ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მუხლი 7. ფაკულტეტის სათათბირო

1. ფაკულტეტის სათათბიროში შედის: დეკანი (თავმჯდომარე), მისი მოადგილე, მენეჯერი, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში ფაკულტეტის კვოტით არჩეული წარმომადგენლები.

2. სათათბირო სისტემატიურად აფასებს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, ახორციელებს საქმიანობას აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის წარმართვის შეფასების მიზნით.

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანი და მისი უფლებამოსილება

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი

2. ფაკულტეტის დეკანს, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

3. დეკანი აირჩევა 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო.

5. დეკანი:

ა) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოსა და სათათბიროს სხდომებს;

ბ) ადგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

დ) შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ე) მენეჯერთან ერთად ადგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ზ) ადგენს ფაკულტეტის საქმის წარმოების წესს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

6. გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების ზოგადი საფუძვლებისა, დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

7. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს მისი მოადგილე, დეკანის არჩევამდე.

8. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო ნიშნავს დეკანის არჩევნებს უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 9. ფაკულტეტის მენეჯერი და მისი უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის მენეჯერს ნიშნავს და ანთავისუფლებს რექტორი.

2. ფაკულტეტის მენეჯერი:

ა. ახდენს შრომის ბაზრის მარკეტინგულ და პროგნოზულ ანალიტიკურ კვლევას, რის საფუძველზეც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წარდგენილ მოთხოვნათა ნუსხას საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ. ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ფინანსურ და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ზედამხედველობას;

გ. ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით, ადგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვის ყოველწლიურ გეგმას და პასუხისმგებელია მისი შესრულების მიზნობრიობასა და ეფექტიანობაზე;

დ. დეკანთან შეთანხმებით ადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს და შესათანხმებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ე. პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობასა და მიზნობრიობაზე;

ვ. კოორდინაციას უწევს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სტაჟირებისა და მათი შემდგომი დასაქმების პროცესს;

ზ. ახორციელებს ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მენეჯერი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზნები და უფლებამოსილება განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნიშნავს რექტორი, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, 4 წლის ვადით.

მუხლი 11. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და მისი უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტის შემადგენლობაში. სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოები.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი, სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება და დისერტაციის დაცვის პროცედურა განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო.

თავი IV

ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 12. პერსონალი. პერსონალის თანამდებობრივი შეუთავსებლობა და თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლება

1. ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალი, ასევე მოწვეული სპეციალისტები და ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი.

2. ფაკულტეტის პერსონალის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. პერსონალის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძველი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრულისა, არის უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევა, ასევე შრომითი ხელშეკრულების შეუსრულებლობა.

მუხლი 13. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება სრული პროფესორებისგან, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისაგან.

2. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი წარმართავს ან/და მონაწილეობს სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში.

3. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სტუ-ს შინაგანაწესით და სტუ-ს და აკადემიურ პერსონალს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

4. ფაკულტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

მუხლი 14. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსის ჩატარების წესს ადგენს სტუ-ს აკადემიური საბჭო.

2. აკადემიური თანამდებობაზე არჩევის პირობები რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სტუ-ს წესდებით.

3. აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლებელია აირჩეს აგრეთვე შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო კომპეტენცია. ამ კატეგორიის პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსში მონაწილეობის პირობები განისაზღვრება სტუ-ს წესდებით.

მუხლი 15. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, სტუ-ს წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 16. მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებელთა პერსონალი

1. ფაკულტეტი უფლებამოსილია, სტუ-ს წესდებით დადგენილი წესით, აკადემიური ან მასწავლებელთა პერსონალის თანამდებობის დაკავების გარეშე, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კვოტის ფარგლებში, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი (მოწვეული პროფესორი ან/და მოწვეული მასწავლებელი), რომლებიც მონაწილეობენ სასწავლო პროცესში.

2. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. მასწავლებელთა პერსონალი და მოწვეული მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

3. მასწავლებელთა პერსონალისა და სასწავლო პროცესში მონაწილე მოწვეული სპეციალისტების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 17. ადმინისტრაციული თანამდებობები. თანამდებობის დაკავების და განთავისუფლების წესი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს განეკუთვნება: ფაკულტეტის დეკანი და დეკანის მოადგილეები.

2. ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სტუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით.

3. დეკანის მოადგილეები თანამდებობაზე ინიშნებიან რექტორის ბრძანებით ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

4. დეკანის მოადგილეების უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს დეკანი, თუ მოქმედი კანონმდებლობით ან სტუ-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. დეკანის არყოფნისას ფაკულტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დეკანის ერთ-ერთი მოადგილე, დეკანის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

6. ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძვლები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სტუ-ს წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით.

მუხლი 18. სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი. სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი

1. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით პერსონალს განეკუთვნება „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი. მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით.

2. სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული წესით.

3. ფაკულტეტი უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი (მოწვეული მკვლევარი) სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობისათვის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით. მოწვეულ მეცნიერთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 19. დამხმარე პერსონალი, მისი თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი

1. დამხმარე პერსონალს განეკუთვნება სტუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისათვის საჭირო პერსონალი.

2. დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნა-განთავისუფლება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

თავი V სტუდენტი

მუხლი 20. სტუდენტი

ფაკულტეტის სტუდენტი (შემდგომში – სტუდენტი) არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ფაკულტეტზე ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

მუხლი 21. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

1. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სტუ-ს წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციით, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით, ასევე ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულებებით.

2. სტუდენტს უფლება აქვს:

ა. მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ. მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

გ. სტუ-ს წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე სტუ-ის და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

ე. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ვ. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ. გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ. საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ი. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

კ. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ლ. პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;

მ. განახორციელოს სტუ-ს წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებმა სრულფასოვანი განათლების აუცილებელი პირობების შესაქმნელად შეიძლება მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები.

4. სტუდენტი ვალდებულია:

ა. ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლებაც სავალდებულოა;

ბ. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები;

გ. შეასრულოს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

5. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ეთიკის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული

კომპეტენტური ორგანო. დისციპლინური წარმოების წესი, აგრეთვე დისციპლინური წარმოების პროცესში სტუდენტის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.

მუხლი 22. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სტუ-ს წესდებით.

მუხლი 23. სტუდენტური თვითმმართველობა

1. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს.

2. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შესაბამისად.

3. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზება-ჩატარებას განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შესაბამისად.

4. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შესაბამისად:

- ა. უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ფაკულტეტის მართვაში;
 - ბ. ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
 - გ. ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოსა და სენატში;
 - დ. ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას;
 - ე. შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს;
 - ვ. კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან, სენატის წევრ სტუდენტებთან;
 - ზ. ახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. ფაკულტეტის ადმინისტრაციის უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი VI

ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 24. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

2. ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 25. ფაკულტეტის ფინანსები

ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

თავი VII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 26. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 27. დებულების მიღება და ამოქმედება, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს.

2. წინამდებარე დებულება ამოქმედდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

მიღებულია

სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

„----“ თებერვალი 2012 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ

„----“ თებერვალი 2012 წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

არჩილ ფრანგიშვილი